

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს წყალტუბო პლაზა			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
	ერთეული: 1 GEL		
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	456333	6893	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	45439	27315	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	112005	96601	
მარაგები	100961	53849	3.3
მზა პროდუქცია	0	0	
სხვა	100961	53849	
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	20636	7314	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	
გუდვილი	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	48666	48692	3.4
ძირითადი საშუალებები	5747709	6115178	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	
სულ აქტივები	6531749	6355842	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	109328	124612	3.6
ანარიცხები	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2385	6202	
საგადასახადო ვალდებულებები	0	35071	3.7
გამომუშავებული შემოსავალი	24679	24897	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5178185	4591909	3.8
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	5314577	4782691	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	9915563	9525726	3.9
საემისიო შემოსავალი	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-8698391	-7952575	
გადაფასების რეზერვი	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	1217172	1573151	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6531749	6355842	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2025 წ.			
დირექტორი _____	თამარ ჩახნაშვილი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს წყალტუბო პლაზა			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
	ერთეული: 1 GEL		
საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	2339422	2490161	3.10
საქონლის გაყიდვიდან	0	0	
მომსახურების გაწევიდან	2339422	2490161	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0	
სხვა	0	0	
გაყიდვების თვითღირებულება	0	0	
საწყისი მარაგები	0	0	
მარაგების შესყიდვა	0	0	
გადამუშავების დანახარჯები	0	0	
საბოლოო მარაგები	0	0	
საერთო მოგება	2339422	2490161	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13695	55802	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-934480	-964475	
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-350050	-351570	
საპროცენტო შემოსავალი	30678	3286	
საპროცენტო ხარჯი	-525269	-501999	3.11
იჯარის ხარჯი	-9341	-3090	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1096210	-1231827	3.12
სულ საოპერაციო ხარჯები	-2870977	-2993873	
საოპერაციო მოგება	-531555	-503712	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახს	-204616	27255	
მიღებული დივიდენდები	0	0	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-19160	-19106	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-755331	-495563	
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-755331	-495563	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფა	0	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-755331	-495563	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1573151	1682219	
კაპიტალის გაზრდა	389837	395680	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	9515	-9185	3.13
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1217172	1573151	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2025 წ.			
დირექტორი _____	თამარ ჩახნაშვილი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს წყალტუბო პლაზა				
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება				
			ერთეული: 1 GEL	
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023		
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდ	190283	408401		
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმ	12513	-176212		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფ	245016	-231199		
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	447812	990		
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	1628	-2357		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6893	8260		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	456333	6893		
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2025 წ.				
დირექტორი _____	თამარ ჩახნაშვილი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი				

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „წყალტუბო პლაზა“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 10 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 421269512, იურიდიული მისამართი - საქართველო, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N 15ა. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „პარკ ჰოტელი“ (ს/კ 405030327), რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ მარიკა უგრეხელიძე (პ/ნ 62001021373).

1.3. წინამდებარე ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორია ფ/პ თამარ ჩახნაშვილი (პ/ნ 01017031899), ხოლო 2024 წლის 31 დეკემბერს კომპანიის დირექტორი იყო ფ/პ ლაშა ბოლქვაძე (პ/ნ 61004043203). კომპანიის დირექტორის ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 18 თებერვალს.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სასტუმრო მომსახურება.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ანხორციელებს ერთ ლოკაციაზე - საქართველო, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N 15ა.

1.5. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2024 წელს შეადგენდა 74 ადამიანს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას

პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის

გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის

ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით

რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8068 ლარი;

1 EUR=2.9306 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2024 წელს: 1 USD=2.7213 ლარი; 1 EUR=2.9449 ლარი;

2023 წელს: 1 USD=2.6287 ლარი; 1 EUR=2.8436 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	1147	652
ლარი საბანკო ანგარიშებზე	426171	6160
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	7378	0
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	21637	0
ტერმინალით გადახდისას მიღებული ფული		81
სულ:	456333	6893

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
მომსახურებიდან მოთხოვნები ლარში	45439	27315
მომსახურებიდან მოთხოვნები ევროში	0	0
მომსახურებიდან მოთხოვნები აშშ დოლარში	0	0
სულ:	45439	27315

მოთხოვნები წარმოქმნილია კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან. 2024 წლის ბოლოსათვის, კომპანიას არ აქვს გაუფასურებული დებიტორული მოთხოვნები.

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
საქონელი	25508	25712
საწვავ-საცხები მასალები	1222	998
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	74231	27139
სულ:	100961	53849

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სასტუმროს დასუფთავების დეპარტამენტის მიერ გასახარჯი საქონლისაგან.

3.4. არამატერიალური აქტივები:

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება საბუღალტრო პროგრამისაგან, სასტუმროს ფუნქციონირებისათვის საჭირო სპეციალური პროგრამებისაგან და შესაბამისი პროგრამული მოდულებისაგან.

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	2024 წელი ზრდა ან შემცირება	2024 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	274377			274377
დაუმთავრებელი მშენებლობა	0			
შენობები	4624015		161542	4785557
ნაგებობები	368436		9958	378394
ელექტრონული და მექანიკური მოწყობილობები, გათბობის სისტემა, დიზელ-გენერატორები	373132	-4838	100040	478010
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები, ელექტრონული აპარატურა	22825	-21881	-11374	33332
ავტო	27295	-935	45244	73474
ინვენტარი	31788	-33305	-4950	60143
მსუბუქი ავტომობილები	6395		1085	7480
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	750	-116281	-112061	4970
მცენარეები (ეზოს გამწვანება)	18697	-60	685	19442
სულ:	5747709	-177300	190169	6115178

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2024 წლის ბოლოს - 3337224 ლარს,

2023 წლის ბოლოს - 3147055 ლარს.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	109042	124438
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	286	174
სულ:	109328	124612

კომპანიის ძირითადი სავაჭრო ვალდებულებები შედგება რეზიდენტი პირებისადმი საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი დავალიანებებისაგან ეროვნულ ვალუტაში.

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

კომპანიის საგადასახადო ვალდებულება 31.12.2023-ის მდგომარეობით ფაქტობრივად შედგებოდა კომპანიის მიერ წარდგენილი 2023 წლის დეკემბრის თვის საგადასახადო დეკლარაციებით (დღგ, საშემოსავლო) დარიცხული თანხებისაგან. ანგარიშგების წარდგენის მომენტში კომპანიას დაფარული (გადახდილი) ჰქონდა აღნიშნული თანხები სრულად. 31.12.2024-ის მდგომარეობით კი კომპანიას ერიცხებოდა ზედმეტობა გადახდილ და მოსალოდნელ მიმდინარე გადასახადებში ჯამურად.

3.8. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სესხები ლარებში	293775	261620
სესხები აშშ დოლარებში	4884410	4330289
სულ:	5178185	4591909

კომპანიის გრძელვანიანი სესხების უდიდესი წილი, როგორც ლარში ასევე აშშ დოლარში, შედგება სს „საქართველოს ბანკისაგან“ მიღებული სესხისაგან.

3.9. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის კაპიტალი მისი დაფუძნებისას განისაზღვრა 200 ლარის ოდენობით. 2015 წელს კომპანიის 100%-იანი წლის მფლობელმა (რომელიც, მაშინ იყო შპს „მგ კომპანია“) მოახდინა კომპანიის კაპიტალის გაზრდა და 2015 წელსვე მოახდინა კომპანიის გაზრდილი კაპიტალის შევსება ქონებით (ქონების ღირებულება, კაპიტალში შეტანისას, შეფასებული იქნა მოწვეული ექსპერტ-შემფასებლის მიერ).

2021 წლის ოქტომბრის თვეში შპს „მგ კომპანია“ კიდევ ერთხელ მოახდინა კომპანიის კაპიტალის გაზრდა და ამ შემთხვევაშიც, გაზრდილი კაპიტალის შევსება მოახდინა ქონებით.

ხოლო, 2021 წლის ნოემბრის თვეში შპს „მგ კომპანია“ გაყიდა კომპანიის 100% წილი და მიჰყიდა შპს „პარკ ჰოტელს“ (ს/კ 405030327).

2022 წელს შპს „პარკ ჰოტელმა“ (ს/კ 405030327) მოახდინა კომპანიის კაპიტალის გაზრდა 1087182 ლარით, 2023 წელს 395680 ლარით, ხოლო 2024 წელს 389837 ლარით.

3.10. ნეტო ამონაგები:

2024 წელს კომპანიის ამონაგები მთლიანად შედგებოდა სასტუმრო მომსახურებით მიღებული შემოსავლებისაგან.

3.11. საპროცენტო ხარჯები:

2024 წელს კომპანიის საპროცენტო ხარჯების დიდი ნაწილი შედგებოდა სს „საქართველოს ბანკისაგან“ აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტებისაგან.

3.12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დასახელება	2024 წელი	2023 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა (საკვები პროდუქტები და სასმე)	347475	371783.93
სასტუმროს დასუფთავების მასალების დანახარჯები / შეძენა	16301	18973.7
სამეურნეო და ტექნიკური საქონლის ხარჯები	22073	37606.61
სამზარეულოსა და ბარის ხარჯები	14994.12	33123.93
საკანცელარიო და საოფისე საქონლის ხარჯი	5561	10932.3
საქონლის სხვა ხარჯები		
ნომრებში ყავა, ჩაი, სნო, საპონი, შამპუნი, ლოსიონი, გელი, ჩუსტი	24469	30074.85
საკონფერენციო (coffee break)	2350	1850.68
თეთრეულის სამრეცხავო ხარჯი	5383	6679.25
ვადაგასული და ექსპლოატაციისათვის უვარგისი პროდუქცია	685	
შრომის ანაზღაურება (მატერიალური, ან არამატერიალური ფორმით გაცემული სარგებელი) - დაბ		432.2
ჭურჭლის სამრეცხავო	4552	6092.13
საპენსიო დანარიცხები	11547	13397.18
საწარმოო პერსონალის დაზღვევის ხარჯები	29452	405
საწარმოო ქონების დაზღვევა	3990	3199.4
მიღებული ყოველთვიური მომსახურებების ხარჯები	31418	23610.86
IT-ტექნიკური მომსახურება	3660	14571.51
HRS-ის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურება (Fidelio, Materials Control, Micr	18065	17088.83
ბუნებრივი აირის ხარჯი	33699	36110.85
ელექტრო ენერგიის ხარჯი	144193	187216.62
წყლისა და კანალიზაციის ხარჯი	28864	28729.18
ტელეფონისა და ინტერნეტის ხარჯები	19484	19156.31
საწვავის ხარჯები (საწარმოო დანიშნულების)	2409	4734.03
საიჯარო ქირა (საწარმოო)		203.36
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	17634	9185.72
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯ	5181	7787.42
სხვა საერთო-საწარმოო ხარჯები	5239	27945.19
ხარჯები სასტუმრო მომსახურების მიწოდებისას	2119	4341.23
ხარჯი სხვადასხვა აქტივების ჩამოწერიდან	8526	
რეკლამის ხარჯები		3389.83
ყოველთვიური მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	6885	3252.56
ონლაინ დაჯავშნის საკომისიო	448	
საშუამავლო მომსახურების ხარჯები	9123	5155.89
booking.com	24789	32046.74
facebook	29	4238.07
შრომის ანაზღაურება (მატერიალური, ან არამატერიალური ფორმით გაცემული სარგებელი)		81.6
საპენსიო დანარიცხები	4823	3951.12
საიჯარო ქირა	9340	3090.3
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	7429	8403.02
tph.ge ჰოსტინგ, დომენ: tsaltuboplaza.ge და tph.ge ყოველთვიური მომსახურე	656	622.65
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	15000	
ფინანსური და ბუღალტრული მომსახურებები	26440	26440.68
საგადასახადო ხარჯები (ქონების გადასახადი, მიწა)	69931	61279
საბანკო ხარჯები	261	2316.28
საბანკო ხარჯები კონვერტაციაზე	10328	12720.17
საბანკო ხარჯები ტერმინალით გადახდისას	16285	17468.75
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	10502	
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	11249	9066.12
საერთო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯებ	2358	4745.41
წარმომადგენლობითი ხარჯები		3166.13
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	41197	91191.41
არასაოპერაციო ზარალი მს ჩამოწერიდან (გამოსაყენებლად უვარგისი)	10990	4536.95
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	3364	4346.05
სამეურნეო ჯარიმები და პირგასამტეხლობები	1000	3730
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2230	6058.29
სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციისას გამოვლენილი ც	2230	5297.27
	1096210	1231827

3.13. კაპიტალის სხვა ცვლილებები:

კომპანიამ გაასწორა 2024 წელს აღრიცხვაში დაშვებული არაარსებითი მექანიკური შეცდომა - გამორჩენილი ხარჯი.

3.14. სასამართლო დავები:

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 1 ოქტომბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	456333	6893	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	45439	27315	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	112005	96601	
მარაგები	100961	53849	3.3
მზა პროდუქცია	0	0	
სხვა	100961	53849	
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	20636	7314	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	
გუდვილი	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	48666	48692	3.4
ძირითადი საშუალებები	5747709	6115178	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	
სულ აქტივები	6531749	6355842	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	109328	124612	3.6
ანარიცხები	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2385	6202	
საგადასახადო ვალდებულებები	0	35071	3.7
გამოუმუშავებელი შემოსავალი	24679	24897	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5178185	4591909	3.8
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	5314577	4782691	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	9915563	9525726	3.9
საემისიო შემოსავალი	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-8698391	-7952575	
გადაფასების რეზერვი	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	1217172	1573151	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6531749	6355842	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2025 წ.

დირექტორი _____

eSigned by:
თამარ ჩახნაშვილი: 64e1888c-3e15-467e-8e8b-....
თამარ ჩახნაშვილი
განუყოფელი ნაწილი
Certified by Signify

თამარ ჩახნაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	2339422	2490161
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	2339422	2490161
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2339422	2490161
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13695	55802
დასაქმებულთა ანაზღაურება	-934480	-964475
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-350050	-351570
საპროცენტო შემოსავალი	30678	3286
საპროცენტო ხარჯი	-525269	-501999
იჯარის ხარჯი	-9341	-3090
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1096210	-1231827
სულ საოპერაციო ხარჯები	-2870977	-2993873
საოპერაციო მოგება	-531555	-503712
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გაყიდვები	-204616	27255
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-19160	-19106
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-755331	-495563
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-755331	-495563
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-755331	-495563
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1573151	1682219
კაპიტალის გაზრდა	389837	395680
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	9515	-9185
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1217172	1573151

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2025 წ.

დირექტორი _____

eSigned by:

თამარ ჩახნაშვილი: df508ce1-466a-4308-9112-...

თამარ ჩახნაშვილი

თამარ ჩახნაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

Certified by Signify

შპს წყალტუბო პლაზა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი	190283	408401
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი	12513	-176212
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი	245016	-231199
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	447812	990
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	1628	-2357
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6893	8260
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	456333	6893

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2025 წ.

დირექტორი _____

eSigned by:
თამარ ჩახნაშვილი: 6276f971-df4d-40bd-876a-.....
თამარ ჩახნაშვილი
Certified by Signify

თამარ ჩახნაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი